კონკურსის „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

ფინედუ

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხურჩის საჯარო სკოლა

ინფორმაცია ჩატარებული ღონისძიების შესახებ	
სეგმენტი	**მოსწავლეები**
კლას(ებ)ი, რომელშიც ჩატარდა აღნიშნული ღონისძიება	IX კლასი
მხატვრული ნაწარმოები (დასახელება, ავტორი), რომელიც განიხილეთ მოსწავლეებთან ერთად	ციტატები სხვადასხვა ნაწარმოებებიდან („დათა თუთაშხია“, „მრისხანების მტევნები“, „ზამთარი ჩვენი მღელვარებისა“,“მდიდარი მამა, ღარიბი მამა“, მებრძოლთა კლუბი“)
ფინანსური განათლების თემები, რომლებიც განიხილეთ აქტივობის ჭრილში *(მაგალითად, დაზოგვა, ბიუჯეტირება, დაზღვევა. თემებზე დეტალური ინფორმაციისთვის ეწვიეთ ფინედუს ვებგვერდს)*	ფული და ჩვენი დამოკიდებულება
სწავლების მეთოდ(ებ)ი, რომელიც გამოიყენეთ ლიტერატურის განხილვისას. ახსენით რატომ შეარჩიეთ ეს მეთოდები *(მაგალითად, კეთებითი სწავლება, შემთხვევების განხილვა, დისკუსია, როლური თამაში და სხვა)*	პაზლებით ციტატების აწყობა მცირე დისკუსია

კონკურსის „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

აქტივობის აღწერა *(აღწერეთ სრული შეხვედრის მეთოდური ნაწილი: როგორ წარიმართა შეხვედრა, რა სტრუქტურით და თანმიმდევრობით განიხილეთ მხატვრული ნაწარმოები, რა მეთოდები გამოიყენეთ და როგორ დაუკავშირეთ ფინანსურ განათლებას. მიუთითეთ ჩატარებული აქტივობის ხანგრძლივობა)*	❖ მოცემული გვაქვს ციტატები სხვადასხვა ნაწარმოებებიდან. ❖ თითოეული ციტატა ამოვბეჭდე ფერად ფურცელზე. ❖ თითოეული ციტატა დაყოფილია რამოდენიმე ფრაგმენტად. ❖ ციტატა ავიღე პროექტში მონაწილე მოსწავლეების რაოდენობაზე ორით მეტი, რათა აქტივობა უფრო საინტერესოდ წარმართულიყო. ❖ ამასთანავე, ორი-ორი ციტატა ამოვბეჭდე ერთი ფერის ფურცელზე. ❖ ასევე გვაქვს რამე ნივთი, რომელიც გაწევს ფულის იმიტაციას. (მე კონკრეტულად გამოვიყენე კუბიკები. პირობითად ერთი კუბიკი ერთი ლარის ტოლფასი იყო) ❖ თავდაპირველად მოსწავლეები აიღებენ რამოდენიმე ფრაგმენტს და ორ კუბიკს (ანუ მათ აქვთ ორი ლარი) და მხოლოდ ამის შემდეგ ვაძლევ ინსტუქციას: ❖ მათი ამოცანაა, პაზლის პრინციპის დაცვით, ააწყონ ციტატა. ❖ ძალიან ქაოსი და დაბნეულობა რომ არ წარმოიქმნას, თითოეული ციტატა იწყება ნუმერაციით 1, ან მუქი ფერის შრიფტით. ❖ მათ შეუძლიათ ერთმანეთში ერთი ფრაგმენტი იყიდონ ერთი კუბიკის (ანუ ერთი ლარის სანაცვლოდ), ან მოლაპარაკების სანაცვლოდ. ❖ მოსწავლეებში განაწილებული ფერად ფურცელზე ამობეჭდილი ფრანგმენტებია აწყობისას მიხვდნენ, რომ ერთი ფერის ფრაგმენტები უნდა მოეძებნათ, მაგრამ აქაც მოუწიათ ერთმანეთში მოლაპარაკება ☺ ❖ გაუნაწილებელი ფრაგმენტები პირობითად მოვათავსეთ ბანკში.

	❖ მათ შეეძლოთ ბანკიდანაც აეღოთ ციტატა, ოღონდ აქ „უფრო ძვირი“ საფასური უნდა გადაიხადონ. (ერთი ფრაგმენტი 2 კუბიკი). ❖ მოსწავლეების მიერ აწყობილი ციტატების შემდგომ მოვაწყვეთ მცირე დისკუსია. ❖ დისკუსიის შემდგომ წავიკითხე კიდევ რამოდენიმე ციტატა.
შედეგი / მიგნება, რომელიც დადგა / გამოიკვეთა აღნიშნული აქტივობის განხორციელების შემდეგ *(მიუთითეთ, როგორ გაზომეთ აღნიშნული შედეგი)*	ფულთან ჩვენი დამოკიდებულების სწორად წარმართვა (ფულის გულისთვის ყველაფერი არ უნდა ვიკადროთ, ფული ვხარჯოთ გონივრულად და ცოტაც დავზოგოთ და .ა.შ)